

ქართული სოციალური ქსელების დისკურსის ნიშნები

ენის მთავარი ფუნქცია არის ინფორმაციის მიწოდება „რეალური“ სამყაროს შესახებ, თუმცა პოსტმოდერნულ სამყაროში, ნიშნის საერთო სოციალური შინაარსის დეკონსტრუქციის გამო, ენა მიემართება ე.წ. „ვირტუალურ რეალობებს“, რომლებიც იქმნება კონკრეტული, სოციალურად დანაწევრებული ქვედისკურსებით. განვითარებული ტექნოლოგიები – ინტერნეტ სივრცე და ტელეკომუნიკაცია – ქმნიან უაღრესად ძლიერ მექანიზმებს ასეთი დანაწევრებული ქვედისკურსების მყარ, სტაბილურ საკომუნიკაციო ქვესივრცეებად ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც კონკურენციას უწევენ ენის ერთიან დისკურსს. ენის უნიფიცირებული სოციალიზებული დისკურსი ვეღარ აერთიანებს ერთ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდებს და ფუნქციონირებს მხოლოდ როგორც ერთ-ერთი პარალელური ქვედისკურსი.

ენა ცდილობს დაძლიოს კომინიკაციის შემაფერხებელი ეს პარადოქსული სიტუაცია და შეინარჩუნოს ენის უმთავრესი, რეფერენციულ-ნომინაციური ფუნქცია. მაგალითად, ქართულ ენაში, თავდაპირველად ახალგაზრდათა მეტყველებაში, გამოჩნდა სპეციალური დისკურსული მარკერი, როგორიცაა *ოღონდ მართლა* (=„მაგრამ/თუმცა ნამდვილად, უეჭველად“):

(1) *დილას კარგი ამინდი იყო, ოღონდ(დ) მართლა.*

(2) *მოდო წავიდეთ კინოში, ოღონდ მართლა.*

(3) *ახლა წვიმს, ოღონდ მართლა.*

ამ *ოღონდ მართლა* ფრაზამ დაკარგა თავისი პირდაპირი, რეფერენციალური მნიშვნელობა (რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს (3) მაგალითიდან) და იქცა ე.წ. tag-ტიპის ფუნქციონალურ დისკურს-მარკერად, მნიშვნელობით: *ნუ ახდენ ინფორმაციის ინტერპრეტაციას, გაიგე სიტყვასიტყვით!*

კომუნიკაციის „გადარჩენის“ კიდევ ერთი სტრატეგია კიდევ უფრო შორს მიდის. ენა, ერთი მხრივ, ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს სამეტყველო ბგერაზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემის ინვენტარი, რაც განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ინტერნეტ სივრცეში: ენის მომხმარებლები სულ უფრო მეტად კომუნიცირებენ ე.წ. საკვანძო სიტყვებით, უსრული წინადადებებით, უზმნო

კონსტრუქციებით, რაც ინფორმაციის პლურალისტური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა; მეორე მხრივ, ამავდროულად, ისინი უფრო მეტად მიმართავენ ინფორმაციის კოდირების ვიზუალურ ფორმებს, რომლებიც ხელმისაწვდომი და წახალისებულია ახალი ციფრული ტექნოლოგიებით (resp. სმაილიკები, მემები, ტიკტოკის ტიპის მოკლე ვიდეოები და სხვა ამგვარი).

პოსტმოდერნული ნიშნის კულტურის სფეროდან ყოველდღიურ ცხოვრებაში ტრანსფორმაციის და კომუნიკაციის შენარჩუნების კიდევ ერთი სტრატეგია, როგორც ჩანს, არის ხელოვნებასა და კულტურაში ახალი მიმართულების, მეტამოდერნის, გამოჩენა. მეტამოდერნიზმი ცდილობს ნიშნის რეკონსტრუირებას პლურალიზმის შენარჩუნებით. ის ნიშნის აღსანიშნს მოიაზრებს ოქსიმორონულ კონცეპტად, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან, ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობებს რი; მაგალითად: *გმირი-მშიშარა*, *ბოროტი-კეთილი*, *მზიანი ღამე*, *მკვდარი-ცოცხალი* და სხვა. ამ ხერხით, პარადოქსები, ალტერნატიული რეალობები და ემოციური რყევები, რომლებიც თავისთავად ახასიათებს ცხოვრებას, მეტამოდერნიზმმა გარდაქმნა ერთიან მგრძნობელობად: ცხოვრებას ყველა ინდივიდუალურად აკვირდება და აღიქვამს, მეტამოდერნიზმი კი იძლევა საშუალებას ეს პლურალისტური ხედვა განიხილოს როგორც ერთიანი, მთლიანი საგანი.

ადამიანები ისწრაფვიან კომუნიკაციისაკენ და ითხოვენ საკომუნიკაციო ერთეულის, ცალსახა, სოციალიზებული შინაარსის მქონე ნიშნის რეკონსტრუქციას. მეტამოდერნიზმი, ერთი მხრივ, გადალახავს პოსტმოდერნიზმის ფარგლებში წარმოქმნილ საკომუნიკაციო სირთულეებს და გვთავაზობს მსოფლიოს პლურალისტური დიქტომიის ასახვას. თუმცა, მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს ამბივალენტური და ფსიქიკურად პრობლემური კონცეპტების ჩამოყალიბებას და ფაქტობრივად ქმნის კომუნიკაციის ილუზიას: ნიშნის აღსანიშნად მოაზრებული ასეთი ოქსიმორონული მნიშვნელობები კი ქმნიან ერთიან საკომუნიკაციო სივრცეს, მაგრამ მხოლოდ "ვირტუალურ" რეალობებს შორის, რის შედეგადაც ვიღებთ "ვირტუალურ კომუნიკაციას".

საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი, ნიშნის დეკონსტრუქცია, სამყაროს „ვირტუალური“ ენობრივი ხედვა